

# ინტერვიუ გაზეთ ქრონიკას

29 ოქტომბერი – 5 ნოემბერი, № 44, 2012 წელი

„ქრონიკას“ ესაუბრება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა.

– ბატონო ლადო, ძალიან მიკვირს, ბიძინა ივანიშვილმა რაიმე თანამდებობა არ შემოგთავაზათ?

– მე არავინ არ დამკავშირებია და არც არაფერი შემოუთავაზებიათ. თუმცა მე ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ყველაფრის ამბიციაც მაქვს და ამავე დროს – არც არაფრის, ვარ ჩვეულებრივი მოქალაქე, ჩემს ფუნქციას ვასრულებ, ვარ მოქმედი ეკონომისტი და საკმაოდ აქტიურიც. ჩემს პოზიციას ყოველთვის გამოვხატავ ტელევიზიით თუ პრესის საშუალებით, მე რომ საინტერესო არ ვიყო თქვენი გაზეთისთვის, ალბათ, არც ახლა ვისაუბრებდით. რაიმე შემოთავაზება იქნება თუ არა, ეს არ არის გადამწყვეტი... მთავარია, ბატონმა ბიძინამ ეკონომიკური გუნდი საკმაოდ კვალიფიციური კადრებით დააკომპლექტა. მე ცოტა არ იყოს, შევშინდი, როცა გავიგე, რომ გარკვეულ პერიოდში ექებდნენ მოეკონომისტო ხალხს და ყურადღებას არ ამახვილებდნენ იმათზე, ვინც დაწერა ეკონომიკური პროგრამა. როცა გავიგე, ხადური, ნარმანია და კვირიკაშვილი უნდა დაენიშნათ შესაბამის თანამდებობებზე, დავმშვიდდი. ჩემი აზრით, ასეთი კვალიფიციური ეკონომიკური გუნდი საქართველოს ბოლო 9 წლის განმავლობაში არ ჰყოლია.

– დღეს ზოგიერთი გამოთქვამს შეშფოთებას ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გამო. შეიძლება მასა გახარებული იყოს, მაგრამ საერთო ჯამში ცოტა დამაფიქრებელია... ბიძინა ივანიშვილი აპირებს, საკუთარი ფული ჩადოს ქართულ ეკონომიკაში და გვინდა თუ არა, ქვეყანა მაინც ხდება ისევ ერთ კაცზე დამოკიდებული.

– მინდა, გავიხსენო ის წინასაარჩევნო დაპირებები, რომელიც ჰქონდა ცხონებულ ბადრი პატარკაციშვილს: მისი პროგრამა ეყრდნობოდა ძალიან დიდი რაოდენობით ფულის ჩადებას და თანხების გამოყენების მეთოდები მთლად მკაფიოდ არ იყო გაწერილი. მაშინ გაჩნდა ისეთი განცდა, რომ ფული პირდაპირ წავიდოდა მოქალაქეების ჯიბეში. იმ პერიოდში მე საკმაოდ სკეპტიკურად

შევხედე ამ პროგრამას და ჩავთვალე, რომ ასე ინფლაციას უფრო შეეწყობოდა ხელი. ახლა გადავხედოთ ივანიშვილის მიდგომას... ინფლაციური საფრთხე აქაც არსებობს, მაგრამ მოდი, ჩავიხედოთ წარსულშიც, ჩვენ ვიცით, რომ ბატონ ბიზინას ქველმოქმედებაში დახარჯული აქვს მილიარდნახევარი დოლარი, ის ფულს აძლევდა სააკაშვილის ვარდისფერ მთავრობასაც. მე ველოდები მიზანმიმართული პროექტების განხორციელებას, მაგალითად ავიღოთ სოფლის მეურნეობა. თუკი სოფელი აღორძინდება, ეს ნიშნავს მეტ მოსავალს და მეტი პროდუქციის მიწოდებას ბაზარზე. ამ შემთხვევაში დახარჯული ფული არ არის ინფლაციური. თანხები პირდაპირ ჯიბეებში კი არ მიდის, დახლზე ჩნდება პროდუქტი. მოდი, ისიც ვთქვათ, თუ ქვეყანაში შემოდის არაბი ინვესტორი და ხარჯავს ფულს უძრავ ქონებაში, რაც ეკონომიკას არაფერს მატებს, რადგან ეს სპეკულაციური ინვესტიციაა, რატომ არ უნდა გვეშინოდეს ამ პროცესისა და გვეშინოდეს ბიძინა ივანიშვილის მიერ ჩადებული ფულისა? თუმცა აქაც არის ერთი „მაგრამ“, ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდება ივანიშვილს იმისათვის, რომ ყველაფერი იყოს გამჭვირვალე და არ გაჩნდეს საზოგადოებაში ეჭვი, თითქოს ის რაღაცას აკეთებს პირადი მოგების მიზნით. ახლა საუბარი უნდა იყოს არა ქველმოქმედებაზე, არამედ მიზნობრივ პროექტებზე. ჩვენი კლიმატური პირობების ქვეყანაში არ შეიძლება, სოფლის მეურნეობა იყოს ჩავარდნილი... შევხედოთ ციფრებს: საქართველოს მოსახლეობის 54 პროცენტი ცხოვრობს სოფლად და სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მთლიან შიგა პროდუქტში 8 პროცენტია. ესე იგი, ხახევარზე მეტი მოსახლეობა აწარმოებს ეროვნული ეკონომიკის 10 პროცენტზე ნაკლებს, ეს კატასტროფაა. თუ ფულის ხარჯვა იქნება ტრანსპარანტული, თუ შეიქმნება სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც იქნება დისტანცირებული ბიძინა ივანიშვილისგან, ამ შემთხვევაში ყოველგვარი ეჭვი გამოირიცხება. თავად ივანიშვილის ინტერესშიც უნდა იყოს გამჭვირვალობა, მას დიდი ამბიციები აქვს და თანაც განცხადება გააკეთა, წელიწადნახევარში მივდივარო. გულწრფელად რომ გითხრათ, მე ცოტა არ მომწონს ეს ამბავი და ამიტომ გამოვდივარ ინიციატივით, წელიწადნახევრის ათვლა დაიწყოს მას შემდეგ, რაც სააკაშვილი წავა. მე არ ვიცი, შეიძლება მიშა ვადაძეც გადადგეს, ან გაძალიანდეს და რაღაცა მოიგონოს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში წამზომი უნდა ჩაირთოს მისი წასვლის შემდეგ. ახლა, პრინციპი კარგია, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ დღეს კოალიციის ერთიანობის საფუძველი არის ივანიშვილი... ქვეყანაში ჩასატარებელია კონსტიტუციური რეფორმა, რასაც სჭირდება კოალიციის ერთიანობა და გაძლიერება.

– მე მგონი, მიშას მიერ გაუპატიურებული კონსტიტუცია საერთოდ თავიდანაა დასაწერი.

– კი, გეთანხმები... ის, რომ მომავალში კოალიცია დაიშლება, მე ძალიან დადებითად ვუყურებ, ქვეყანას ნამდვილად სჭირდება პოლიტიკური დისკუსია. ეს ოპოზიცია, რომელსაც ვითომ ქმნის „ნაციონალური მოძრაობა“, კარიკატურულია, ისეთ რამეს სთხოვენ ივანიშვილს ერთ დღეში, რაც თვითონ არ გაუკეთებიათ 9 წლის განმავლობაში.

– სხვათა შორის, მე გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატი, გიორგი ღვინიაშვილი ცოტა უფრო სერიოზული კაცი მეგონა. პარლამენტში გამოვიდა და იმას, პირობა არ შეასრულეთ, კახეთში მიწები არ არის მოხსნულიო.

– ივანიშვილს იმასაც ეკითხებიან, რანაირად მოხდება კახეთში ზარალის ანაზღაურებაო და იმას არ ამბობენ, სად წავიდა მის მიერ გადარიცხული 80 მილიონი ლარი, რომლის გადახდასაც არ აპირებდა, რომ არ მომხდარიყო სტიქიური უბედურება. როცა ღვინიაშვილი გუბერნატორი იყო, დაზარალებულ ოჯახებს მაქსიმუმ მისცეს 1500 ლარი და გამგებლებს გამოუწერეს პრემიები 5-6 ათასი ლარი. ეს იყო სწორედ კარიკატურა. ასეთ ადამიანებს კრიტიკის უფლება მორალურად არ გააჩნიათ. ჩვენ პარლამენტში გეჭირდება არა ასეთი გაშარებული ოპოზიცია, არამედ სერიოზული ძალა. ივანიშვილის წასვლა ხელს შეუწყობს კვალიფიციური დისკუსიის გაჩენას, ამას მივესალმები, მაგრამ წასვლა წელიწადნახევარში, ძალიან ნაადრევია. არც მე გამოვრიცხავ, რომ საჭირო გახდეს სრულიად ახალი კონსტიტუციის დაწერა, სააკაშვილმა იმდენად გაათახსირა, რომ შესწორებების შეტანასაც არა აქვს აზრი. რა უნდა კონსტიტუციაში ლაზიკას? ეს მითიური ქალაქი იქნება თუ არა, ეგ სულ სხვა თემაა, მე არაერთხელ მითქვამს, რომ ეს წყალში გადაყრილი ფული იქნება, მაგრამ კონსტიტუციაში მისი ადგილი ნამდვილად არ არის. თუნდაც ქუთაისში გადატანილი პარლამენტი ავიღოთ, ახლა კონსტიტუცია უნდა შეეცვალოს, რომ დეპუტატები თბილისში დაბრუნდნენ... 667 ლარი გამოყვეს თითოეულ პარლამენტარზე, რომ ბინა იქირაონ. ეს არის აბსოლუტურად უაზრო ხარჯები.

– ქუთაისში ბინა ექნება მარტო აკაკი ბობოხიძეს.

– გუბაზ სანიკიძესაც ექნება სავარაუდოდ.

– პარლამენტში მარტო დეპუტატები არ არიან.

– რაც შეეხება პერსონალს, მათ არავითარი კომპენსაცია არ ეძლევათ, ყველაფერი უნდა გადაიხადონ საკუთარი ხელფასიდან. ამიტომ რამოდენიმე თანამშრომელი ერთად ქირაობს. ჯერ კიდევ არაუშავს, ზამთარი რომ დადგება

და გზები ჩაიკეტება, მერე სად ვეძებოთ დეპუტატები, როგორ იქნება კომუნიკაციის საკითხი? მე როგორც ვიცი, დღევანდელი საპარლამენტო უმრავლესობა აპირებს გადაწყვეტილების მიღებას, რომ ახალი კონსტიტუცია ამოქმედდეს არა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, არამედ იანვრიდან. ამ შემთხვევაში პარლამენტი არ დააყენებს სააკაშვილის იმპიჩმენტის საკითხს, რაც ჯერ ერთი, პროცედურულად ძალიან ძნელია და მეორეც – ვეჭვობ, დასავლეთი ამაზე დათანხმდეს. სხვათა შორის, 1995 წელს მიღებულ კონსტიტუციაზე ჩემი ხელმოწერაც არის, მეც ვმონაწილეობდი მის შექმნაში. როდესაც სააკაშვილმა შექმნა ახალი საკონსტიტუციო კომისია, ამ კომისიის მესვეურები დამიკავშირდნენ და შემომთავაზეს თანამშრომლობა, რაზეც სასტიკი უარი ვუთხარი.

– ავთანდილ დემეტრაშვილის კომისიას გულისხმობთ?

– კი, დემეტრაშვილი იყო ხელმძღვანელი... ეს კომისია იყო წმინდა წყლის ფარსი. ამ ადამიანებმა დაუწერეს სააკაშვილს კონსტიტუცია იმისთვის, რომ გამხდარიყო საქართველოს პუტინი. ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება, პარლამენტის მიერ არჩეულ პრემიერ-მინისტრს ჰქონდეს უფრო მეტი უფლებამოსილება, ვიდრე ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს? თუ ჩვენ გადავდივართ საპარლამენტო მოდელზე, პრეზიდენტს ხალხი არ უნდა ირჩევდეს. მე მომწონს საპარლამენტო მოდელი, მაგრამ აქ პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები უკვე დამატებითი და ტანაც უაზრო ხარჯებია, ის ასევე უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა.

– მიხეილ სააკაშვილი უნდა გასამართლდეს თუ უნდა მიეცეს ხელშეუხებლობის გარანტია?

– ჩემთვის მთავარია არა ის, სააკაშვილი მოხვდება თუ არა ციხეში, მე მაინტერესებს, როგორ როგორ იქნება შეფასებული ისტორიის თვალსაზრისით. დღეს არის დასავლეთის მხრიდან მცდელობა, რომ სააკაშვილი ლამაზად შეიფუთოს, კარგი ბაფთა გაუკეთდეს, მაქმანებიანი პერანგი ჩააცვან, კარგად გამოპრანჭონ და დემოკრატიის იმიჯი მოარგონ... აი, ნახეთ, არჩევნები როგორ დათმოო. არავითარ არჩევნებს ის არ დათმობდა, რომ არ დამდგარიყო ხალხი მედგრად და რომ არ ყოფილიყო ამერიკის შეერთებული შტატების მკაფიო პოზიცია. მე მკითხველს შევახსენებ, სააკაშვილმა პირველ ოქტომბერს გააკეთა ასეთი განცხადება: მართალია, ჩვენ პროპორციულ არჩევნებს ვაგებთ, მაგრამ მაჟორიტარულს ვიგებთ დიდი უპირატესობით და უმრავლესობით დავრჩებით ხელისუფლებაშიო. 2 ოქტომბრის დილას ამერიკის შეერთებული შტატების

ელჩი, როჩარდ ნორლანდი ორ სენატორთან ერთად მიდის ბიძინა ივანიშვილთან და ულოცავს გამარჯვებას. მხოლოდ ამის შემდეგ გამოდის მიხეილ სააკაშვილი და აღიარებს დამარცხებას. ამერიკელები მოიქცნენ სწორად... სხვათა შორის, ისინი სხვადასხვა ქვეყანაში უპირისპირდებოდნენ ხალხს ფსევდო პროდასავლური ლიდერის გამო. ახლა ამერიკელების მიზანია, სააკაშვილი ბოლომდე კონტროლირებადი დარჩეს, რათა ბევრი არ გააფუჭოს და კარგად შეფუთული შეიძლება წარსდგეს მსოფლიოს წინაშე, როგორც კავკასიის ვაცლავ ჰაველი.

– **ქართველი ხალხი ამას არ მიიღებს.**

– ამიტომაც ყველა ის გადაცდომა თუ დანაშაული, რაც ჩაიდინა მისმა ხელისუფლებამ, უნდა იყოს მხილებული. მე სასტიკი წინაარმდეგი ვარ რევანშის, ეს ბაღებს შემდგომ რევანშს, მაგრამ ეს არ ნიშნავს სამართლიანობის აღდგენაზე უარის თქმას. შევხედოთ სააკაშვილის მთავრობას, ნათქვამია, “ქურდს კუდი ეწვისო”, სად გაიქცნენ მინისტრები? ჯერ ხეირიანად შედეგები არ იყო გამოცხადებული, ეგრევე გაქრნენ, გაკურცლეს საქართველოდან. საქმე უნდა დაიწყოს არა სააკაშვილით, არამედ ადგიშვილით, შაშკინით, ახალაიებით და როგორც კი მივა მიშამდე, ეს ეგრევე უნდა ითქვას. ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური პასუხისმგებლობა, შეიძლება იყოს სისხლის სამართლებრივი დევნა. „ქართულმა ოცნებამ“ დღესვე რომ დაიწყოს ხელების გადაგრეხვა და დაპატიმრებები, „ნაციონალები“ იმწასვე დატკბებიან პარლამენტში, მაგრამ ეს იქნება რევანში. სააკაშვილს დღეს მაინც რჩება ბერკეტები, მან ქალაქზე უკვე მოუმატა ხელფასები რეგიონების ხელმძღვანელებს. სამწუხაროდ, ასეთი გამოცდილება არსებობს უკრაინაში, როცა პრეზიდენტი იუშენკო ნიშნავდა რეგიონებში თანამდებობის პირებს და აძლევდა დავალებებს, რომ პრემიერ-მინისტრ ტიმოშენკოს არ დამორჩილებოდნენ. უკრაინაში ასეთმა მოქმედებამ შექმნა ორხელისუფლებიანობა... მე ძალიან არ მინდა, რომ საქართველოში განმეორდეს იგივე. საამისო საფრთხე არსებობს. თუ „ქართულმა ოცნებამ“ უახლოეს ხანში რაღაც დიდი შეცდომები არ დაუშვა და მე დარწმუნებული ვარ, რომ არ დაუშვებს, მაშინ სააკაშვილის რევანშს მომავალი არ უწერია. თუმცა არ დაგვაიწყდეს, რომ არსებობს არჩევნიდან მეშვიდე თვე, როცა სააკაშვილს აქვს უფლება, პარლამენტი დაითხოვოს. მე მინდა, გაგახსენო მისი განცხადება, რომელიც 2009 წელს გააკეთა: მე რომ ვიყო ოპოზიციაში, ხელისუფლებას 3 თვეში დავამხობდიო. შეიძლება ახლა 3 თვეზე არ ფიქრობს და 6 თვეზე ჰქონდეს გათვლა, მაგრამ ჩემი აზრით, ქართველი ხალხი მისი რეჟიმის

მობრუნებას არ დაუშვებს. მას ჯერჯერობით აქვს სხვა ბერკეტებიც, მაგალითად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და საბანკო ზედამხედველობა, რომელიც არის მიზნული ეროვნულ ბანკზე. სააკაშვილი ყველაფერს გააკეთებს, რომ არ დათმოს ეს პოზიცია.

**– სააკაშვილს შეუძლია, რომ ეროვნული ბანკის მეშვეობით სიტუაცია დაამძიმოს?**

– რა თქმა უნდა, შეუძლია. ერთი მხრივ არის ფინანსთა სამინისტრო, რომელსაც შეუძლია, დაარეგულიროს ინფლაციის დონე, მაგრამ მეორე მხრივ არის ეროვნული ბანკი, რომელსაც შეუძლია, სამინისტროს ფეხი არ აუწყოს. აქ ძალიან დიდი როლი ენიჭება საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რათა ქვეყანაში სიტუაცია არ გამწვავდეს. ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს დიპლომატიურ კორპუსს, ჩვენ ვიცით არაერთი ქვეყანა, სადაც ელჩები მუშაობდნენ საქართველოს წინააღმდეგ. ისინი ინტენსიურად ავრცელებდნენ ყალბ ინფორმაციას „ქართული ოცნების“ შესახებ. რა თქმა უნდა, ეს დიპლომატიური კორპუსი უნდა შეიცვალოს, აქ ორი აზრი არ არსებობს.

**გელა ზედელაშვილი**